



# ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

15 მაისი 2013 წელი

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №133

#### ირინე საჯაიას მივლინების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე და 39<sup>1</sup>-ე მუხლების, საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ №231 ბრძანებულების შესაბამისად:

#### ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ირინე საჯაია მივლინებულ იქნეს ქალაქ თბილისში საერთაშორისო ორგანიზაცია IRI-ის მიერ გამართულ ტრენინგ-სემინარზე მონაწილეობის მიზნით მიმდინარე წლის 16 მაისიდან 19 მაისის ჩათვლით, ხოლო მიმდინარე წლის 20 მაისს საქართველოს მუნიციპალური მომსახურების ასოციაციის ინიციატივით გამართულ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად.

2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს ირინე საჯაიას მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ი.სიორიძის ქ. №14)

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი